ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1911782

ნომერი: AR1311450

თარიღი : 19.05.2015

გაცემის თარიღი : 22.05.2015

გაცნობის თარიღი : 22.05.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გარდაბანი , ბაგების ტერიტორია , (ნაკვეთი 10/258) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ხათუნა ჩიკვატია პ/ნ 62006056704
- გალი თამარ მეფის ქ. N 9

ნომენკლატურა :

- I კლასი
- როტონდა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის – სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება, რომლითაც ითხოვთ თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.20.01.010.258) სამშენებლოდ განვითარებას, პასუხად გაცნობებთ შემდეგს: საკითხის სირთულიდან გამომდინარე მიღებული იქნა გადაწყვეტილება შექმნილიყო სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მოიპოვა ინფორმაცია წყნეთი-ბაგების მიწებთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის (განაშენიანების) შესახებ და შეისწავლა აღნიშნული ტერიტორია. ჩატარებული სამუშაოების შემდგომ დამუშავდა ახალი ფუნქციური ზონირების რუკა, რომელიც განხილული იქნა "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის" სხდომაზე და შემდგომ ქ. თბილისის საკრებულოს სხდომაზე, რომელთა დადებითი შეფასების შემდეგ განახლებული ფუნქციური ზონირების რუკა ძალაში შევიდა ქალაქ თბილისის საკრებულოს 2010 წლის 27 აგვისტოს #9-56 გადაწყვეტილების საფუძველზე, ხოლო თქვენს მიერ მითითებულ ტერიტორიას მიენიჭა ლანდშაფტურ–სარეკრეაციო ზონის სტატუსი. ამასთანავე, მოცემული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ტყის ნაწილს, ხე–ნარგავებით ინტენსიურად გამწვანებულ ტერიტორიას.

თავის მხრივ ლანდშაფტურ–სარეკრეაციო ზონა წარმოადგენს თბილისის (ადმინისტრაციულ) საზღვრებში არსებულ ბუნებრივი ლანდშაფტის ან ფასეული ხელოვნური ლანდშაფტის ტერიტორიას, სადაც შესაძლებელია მისი ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი შენობა-ნაგებობების განთავსება კანონმდებლობის შესაბამისად.

ვინაიდან საპროექტო დავალებით გათვალისწინებული შენობა თავის მხრივ არ მიესადაგება მიწის ნაკვეთზე დადგენილი ზონის ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფ ნაგებობას, არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს მოცემული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებასთან დაკავშირებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.